მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებების ჩამონათვალი

(2019 წლის IV კვარტალი)

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების კამპანია „მეტი სიცოცხლისთვის“

- ⇒ კამპანიის მეორე ეტაპის გახსნის ღონისძიება - შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით 2019 წლის ბოლომდე განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა და სოციალური კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ ახალი ეტაპი წარუდგინა საზოგადოებას.
- ⇒ საგზაო უსაფრთხოების კამპანიის „მეტი სიცოცხლისთვის“ მეორე ეტაპის ფარგლებში დამზადდა და 6 ყველაზე რეიტინგულ ტელეარხზე განთავსდა 4 ვიდეორგოლი, რომელიც ნახა 1,1 მილიონზე მეტმა ადამიანმა მინიმუმ ერთხელ, ხოლო 840 000 ადამიანმა მინიმუმ 5-ჯერ.
- ⇒ რეკლამა განთავსდა 5 რადიოში.
- ⇒ საანგარიშო პერიოდში, გრძელდებოდა კამპანია სოციალურ ქსელში - განთავსდა 6 ვიდეო, 2 გრაფიკული ვიდეო რგოლი და საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე შექმნილი ბანერები და პოსტები (წვდომა- ჯამში 2,8 მილიონზე მეტი)
- ⇒ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ სატელევიზიო გადაცემებში, მათ შორის რეგიონალურ ტელევიზიებშიც. ჯამში 25-ზე მეტი ინტერვიუ/გადაცემა.
- ⇒ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების კამპანიის მეორე ეტაპზე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სპეციალურად გადამზადებულმა თანამშრომლებმა დაიწყეს საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილების ჩატარება თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის (190-მდე მოსწავლე).
- ⇒ ტესტები სკოლის მოსწავლეებისთვის საგზაო უსაფრთხოების თემაზე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროექტ ,,მოქალაქეობრივი აზროვნების განვითარება - გზა ევროპისკენ“ თანამშრომლობით, საგზაო უსაფრთხოების კამპანიის, ,,მეტი სიცოცხლისთვის" ფარგლებში, შემუშავდა ტესტები სკოლის მოსწავლეებისთვის საგზაო უსაფრთხოების თემატიკაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ვებგვერდზე **www.izrune.ge**

- 2019 წლის მეორე ნახევარში **მართლწესრიგის ოფიცრებმა** საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 35 საჯარო სკოლაში. შეხვედრები მიზნად ისახავდა მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობების გაცნობასა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით.

- **„მართლწესრიგის ოფიცრის თასი“** - შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს ფრენბურთის ტურნირში, რომელიც „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა. ტურნირის მიზანი იყო, მართლწესრიგის ოფიცრებსა და მოზარდებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ჯანსაღი

ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მართლწესრიგის 24 ოფიცერმა და თბილისის სკოლების 84 მოსწავლემ.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა - **მართლწესრიგის ოფიცრებმა** კიბერდანაშაულის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 3 სკოლის 100-მდე მოსწავლესთან. საინფორმაციო შეხვედრებზე, მართლწესრიგის ოფიცრები დამსწრე აუდიტორიას ესაუბრებოდნენ სხვადასხვა გამოწვევებზე, მათ შორის, კიბერბულინგისა და კიბერდანაშაულის საკითხებზე.

- **ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და მართლწესრიგის ოფიცრებმა,** შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში კიბერბულინგისა და კიბერდანაშაულის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს კანტის აკადემიის 170-მდე სტუდენტთან. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები, კიბერდანაშაულის ფორმები, სოციალური ქსელებისა და პლასტიკური ბარათების უსაფრთხოება და ა.შ.

- **შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა,** გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერითა და შვედეთის მთავრობის დაფინანსებით განახროციელა 18-დღიანი კამპანია ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ, სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“. კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრები საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, რომლებსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგნელები, მოსწავლეები, სკოლის მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები. საერთო ჯამში გამართულ 16 შეხვედრას დაესწრო 1000-ზე მეტი ადამიანი. 18-დღიანი კამპანიის ფარგლებში ასევე ჩატარდა ესსეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის.

- 2019 წლის IV კვარტალში არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, **საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის** სხვადასხვა დანაყოფსა და ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის 65 მოსწავლემ და 154 სტუდენტმა.

- 2019 წლის ნოემბერში, **სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის** ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ბაზაზე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა რუსთავის სკოლის მოსწავლეებთან. სტუმრებმა ბაზის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა დაათვალიერეს. ასევე, გაეცნენ სტრატეგიული მილსადენების დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას.

- 2019 წლის მეორე ნახევარში, „**112“-მა,** პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლების

500-მდე მოსწავლეს უმასპინძლა. შეხვედრებზე „112“-ის წარმომადგენლები სკოლის მოსწავლეებს პრეზენტაციის სახით ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდიან ნომრის სწორად გამოყენების შესახებ. კერძოდ, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან. მოზარდები ასევე ეცნობიან ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რას ნიშნავს არამიზნობრივი ზარი და ცრუ გამოძახება და რა სანქციებია გათვალისწინებული მათი განხორციელების დროს.

- **სასაზღვრო პოლიციის** სანაპირო დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლის შეხვედრა ახალგაზრდებთან შავი ზღვის უსაფრთხოების თემაზე. შეხვედრის ფარგლებში, მსმენელებს შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და ამ მიმართულებით საქართველოს სანაპირო დაცვის როლი და მნიშვნელობა გააცნეს. ასევე, ესაუბრნენ ნატოსა და საქართველოს შორის არსებული საზღვაო წარმატებული თანამშრომლობის შესახებ (დამსწრეთა რაოდენობა-30)
- **სასაზღვრო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის** წარმომადგენლებმა "ნატოს დღეების" ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები გამართეს რეგიონული მედიის ჟურნალისტებთან (დამსწრეთა რაოდენობა-20) და რეგიონების სკოლის პედაგოგებთან(ჯამში- 60-მდე პედაგოგი)

- **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა** მონაწილეობა მიიღო კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. მოეწყო იმიტირებული სამაშველო ღონისძიებები.

- **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა** 2019 წელს დაიწყო საზოგადოებრივი პროექტი ‘’მოხალისე’’, რომელიც სტიქიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის პროცესებში მოხალისეთა ჩართულობას უზრუნველყოფს. პროექტი "მოხალისე" ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების ორგანიზებულ ჩართულობას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში და გააკონტროლებს მათ უსაფრთხოებას. პროექტის საპილოტე ვერსია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უკვე ამოქმედებულია. პროექტის ფარგლებში, მოხეს მაღალმთიან თემს გადაეცემა სახანძრო ავტომანქანა, რაც, ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, პირველადი რეაგირების დროს მნიშვნელოვნად შეამცირებს. მოხალისეები საქმიანობაში ჩართვამდე სპეციალურ მომზადებას გაივლიან.

- **მიგრაციის დეპარტამენტის** თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქართული მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარებულ ტრენინგში. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ქართული მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საკითხების, საქართველოში არსებული საერთაშორისო დაცვის სისტემისა და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.